ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/2

09/02/2017

2-01-17-4-201702091438

ქ.ქობულეთი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის №3-263/14 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2014 წლის მაისში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა მოქალაქეებმა ზაურ გორგილაძემ და ანტონ მერკულაძემ, რითაც ისინი მოითხოვდნენ ქობულეთი, დაბა ჩაქვში, დ. აღმაშენებლის მე-3 შესახვევის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სარგებლობისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოვლითი გზის არეალში ბენეფიციართა სიაში შეყვანას. განცხადება განიხილა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიამ, თუმცა იმ საფუძვლით, რომ მათ ვერ დაადასტურეს სარგებლობის ფაქტი 2014 წლის 20 ივნისის N8 საოქმო გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, თუმცა 2014 წლის 18 აგვისტოს ადნინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის N1 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებით, მხარეთა მოთხოვნისა და არსებული მტკიცებულების საფუძველზე განუხილველად იქნა დატოვებული.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის 2014 წლის 20 ივნისის N8 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ზაურ გორგილაძემ და ანტონ მერკულაძემ სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის 2014 წლის 20 ივნისის N8 საოქმო გადაწყვეტილება.

სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 დეკემბრის განჩინება.

გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 73-ე, 76-ე, 95-99-ე მუხლების თანახმად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწვეტილების აღსრულების მიზნით .

2. ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარდეს 2017 წლის 28 თებერვალს 15-00 საათზე.

3. ადმინისტრაციული საქმის წარმოება განახორციელოს საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯომარემ (ვ.ქარცივაძე), იურიდიულ საპროცედურო, სამანდატო კომისიის თავმჯდომარესთან (მ.ჟორდანია) და საკრებულოს მთავარ სპეციალისტებთან (ს.ბეჟანიძე, თ.ვერულიძე) ერთად იურიდიულ საკითხებში.

4. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ეთხოვოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს თეონა გეგიძეს.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმული იქნას ზაურ გორგილაძე და ანტონ მერკულაძე. ასევე მოწვეულ იქნას დაბა ჩაქვის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული როინ ცინცაძე და დაბა ჩაქვის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი გიორგი ქებულაძე.

6. განემარტოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომ უფლება აქვთ 2017 წლის 28 თებერვალს 13-00 საათამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები, შემდეგ მისამართზე: ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №141. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების (მტკიცებულებების) წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა